პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 240 (11546)
ოთხშაბათი
14
ოქტომბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ა. შერფი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 13 ოქტომბერს კრემლში მიიღო ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი დოქტორი ადოლფ შერფი.

ავსტრიის პრეზიდენტს ახლდნენ ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ბრუნო კრეისკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ფრანც გშნიცერი და ავსტრიის ელჩი სსრ კავშირში ნ. ბიშოფი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ავსტრიის პრეზიდენტ დოქტორ ა. შერფს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მესამე ევროპული განყოფილების გამგე ი. ი. ილიჩოვი. (საკდესი).

ანგარიშები და არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო ანგარიშები და არჩევნები. საანგარიშო - საარჩევნო კრებების შემდეგ გაიმართება საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები. ანგარიშები და არჩევნები მიმდინარეობს შესანიშნავ დღეებში, როცა პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი უმაგალითო პატრიოტული აღმავლობითა და უდიდესი ენთუზიაზმით შრომობს შვიდწლედის დიდებული ამოცანების განსახორციელებლად.

ანგარიშები და არჩევნები ყველგან აღინიშნება კომუნისტთა გაძლიერებული აქტივობით. ყოველი კრება მიმდინარეობს შინაპარტიული დემოკრატიის ურყევად დაცვის ნიშნით. უკვე გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოთა და კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში. კრებებზე კომუნისტები აჯამებენ შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შედეგებს, განაზოგადებენ შეძენილ გამოცდილებას. ამასთან ერთად ისინი მთავარ ყურადღებას აქცევენ გადაუჭრელ საკითხებს, ამჟღავნებენ მუშაობის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, იმუშავებენ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებებს.

პარტიის XXI ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დასახეს ამოცანები ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამ ამოცანებს განიხილავენ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა და ტრანსპორტის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. კომუნისტები ღრმა ანალიზს უკეთებენ ფაბრიკისა თუ ქარხნის, მშენებლობისა თუ ტრანსპორტის საწარმოს მუშაობას, ავლინებენ ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს, მოურიდებლად ამხილებენ და აკრიტიკებენ იმ მუშაკებს, რომლებიც უდარდელობას და გულგრილობას იჩენენ საქმისადმი.

რკინიგზის ქუთაისი-პირველის სადგურის კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პირუთვნელად გააკრიტიკეს პარტიული ბიურო და მისი მდივანი ნ. მოწონელიძე. კრებაზე აღნიშნეს, რომ პარტბიურო და მისი მდივანი ღრმად ვერ სწვდებიან საწარმოს ეკონომიკას, სუსტად წარმართავენ მასობრივ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითს მუშაობას რკინიგზელთა შორის. უმოქმედობს პარტორგანიზაციათა თანშექმნილი ერთადერთი კომისია — საწარმოო გეგმების შესრულებისადმი პარტიული კონტროლის კომისია. კრების მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა საანგარიშო მოხსენებამ. მომხსენებელს გამბედაობა არ ეყო გაეკრიტიკებინა მუშაკები, რომლებიც ცუდად ართმევენ თავს საქმეს, თვითკრიტიკულად შეხებოდა პარტბიუროს მუშაობას.

საანგარიშო მოხსენება პარტიული ორგანიზაციის მრავალმხრივი მუშაობის სარკეა. ამიტომ კომუნისტები სამართლიანად მოითხოვენ, რომ საანგარიშო მოხსენებაში მოცემული იყოს პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის დაწვრილებითი ანალიზი, განზოგადებული იყოს დადებითი გამოცდილება, მხილებულ იქნას ნაკლოვანებები და მოცემულ იქნას მათი გამოსწორების კონკრეტული გზები და საშუალებები.

სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების, საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიები. როგორია ამ კომისიების მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები, რა უნდა გაკეთდეს მათი გამოცდილების განზოგადებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის? — ყოველივე ამის შესახებ კომუნისტებმა გულდასმით და საქმიანად უნდა იმსჯელონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

მძლავრი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული საკოლმეურნეო სოფელში. წარმატებით მთავრდება შვიდწლედის პირველი წლის შემოდგომა. ყოველივე ეს თავის ბეჭედს ასვამს საანგარიშო-საარჩევნო კრებებს. ამჟამად სოფლის კომუნისტები იმისათვის იბრძვიან, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ ყველა მშრომელი ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი ძალით გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს მეჩაიეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მათ სარეკორდო მოსავალი მიიღეს და სამშობლოს 140 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მისცეს. მაგრამ წინ კიდევ დიდი ამოცანებია გადასაწყვეტი. სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან მიაღწიონ ყურძნის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის შესახებ ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებას, ყველა საჭირო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს მომავალი წლის უხვ მოსავალს.

დიდი ამოცანები დგას საბჭოთა დაწესებულებების წინაშე შვიდწლედში. საბჭოთა დაწესებულებების კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა იმსჯელონ ამ ამოცანების განხორციელების ღონისძიებებზე, იმაზე, თუ როგორ გააუმჯობესონ სამმართველო აპარატის საქმიანობა და შემდგომ განამტკიცონ მისი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან.

მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ამ კრებებზე კომუნისტები დიდი ყურადღებით განიხილავენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ანგარიშებისა და არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებამ უნდა გამოიწვიოს მასებში პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება, პარტიული პროპაგანდის უფრო მჭიდროდ დაკავშირება პრაქტიკასთან.

ცხოვრება მოითხოვს შემდგომ გავაუმჯობესოთ და სრულვყოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა. ეს ნიშნავს, რომ პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების შემადგენლობაში არჩეულ იქნან ყველაზე ავტორიტეტიანი მუშაკები, უნარიანი ორგანიზატორები.

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ გულდასმით, მთელი ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი კომუნისტთა გამოსვლები, მათი კრიტიკული შენიშვნები და საქმიანი წინადადებები. პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების მოვალეობაა დროზე გაითვალისწინონ კომუნისტთა საქმიანი წინადადებები და უზრუნველყონ მათი პრაქტიკულად განხორციელება. მიზანშეწონილია პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებების დამთავრებისთანავე მოიწვიონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახლად არჩეული მდივნების სწავლებასა და მათთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას.

ანგარიშები და არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ანგარიშებმა და არჩევნებმა ხელი შეუწყოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ყველა კომუნისტის აქტივობის გაძლიერებას პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ათვის ბრძოლაში.



მიიღე სამშობლოვ, საოქტომბრო საჩუქრები!

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხ ფაბრიკაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ფეიქრები ძალღონეს არ იშურებენ ნაკისრი ვალდებულებების განადგებისათვის. სურათზე: მოწინავე ფეიქრები (მარცხნიდან) შ. ტაბიძე, მ. ჯანგავაძე და დ. გორდაძე, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 125-130 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო გ. გერსამიასი.

დროს გაუსწრეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავის აღსანიშნავად გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში — ცხრა თვეში შეასრულა პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის დავალება. მეავეჯეებმა 9 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 5,5 პროცენტით შეამცირეს.

ნაკისრი ვალდებულებით ფაბრიკის კოლექტივს წელს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 200 ათასი მანეთი უნდა შეეტანა, დღესასთვის ზეგეგმითი ეკონომიის საერთო თანხამ 179 ათასი მანეთი შეადგინა. თვითეულ მუშაზე მიღწეულია 1.250 მანეთის ეკონომია.

მეტი ავეჯისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს დამამზადებელი და ამწყობი საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც შ. ქვაჩაკიძე და ნ. გონგლაძე ხელმძღვანელობენ. მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან დამფანერებელი ნ. კაჭარავა, შედაზგეები დ. ხუროძე, ც. ხვიდელიძე, ამწყობები გ. მინესაშვილი, გ. გლუნჩაძე, გამკრიალებლები ც. კუბლაშვილი და მ. კრავიშვილი.

სადღესასწაულო ვახტზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ახალ საწარმოო წარმატებებს აღწევს ზესტაფონის საელმავლო დეპოს კოლექტივი. აქ ვადამდე გაანადღეს ცხრა თვის დავალება. გადაიყვანეს ასზე მეტი მძიმეწონიანი შემადგენლობა, მნიშვნელოვნად გაადიდეს ტექნიკური სიჩქარე, დაზოგეს დიდძალი ელექტროენერგია და საწვავ-საცხები მასალები. საკმარისია ითქვას, რომ ზესტაფონელმა მეელმავლეებმა შვიდწლედის ფონდში უკვე შეიტანეს 530 ათასი მანეთი და გადაზიდეს 1500 ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთი.

ახლა აქ ფართოდ გაჩაღდა ოქტომბრის ორმოცდამეორე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მძიმეწონასანი მეელმავლეები უ. სულაქველიძე, გ. გაჩეჩილაძე, ვ. ცერცვაძე, გ. თუთბერიძე და სხვები დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილ ვახტზე დგანან, მათ წარმატებით დაჰყავთ მძიმეწონიანი ეშელონები, ზოგვეულ ელექტროენერგიას, საწვავს.

მოდის ქართული მარგანეცი

ჭიათურა. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის მაღაროს სახელოვანმა კოლექტივმა, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, მორიგი წარმატება მოიპოვა — ვადაზე თხუთმეტი დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება. ახლა აქ ნოემბრის ანგარიშში უშვებენ მარგანეცს. მაღაროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 14.557 ტონა პირველი ხარისხის მარგანეცი მისცა სამშობლოს.

ახალი გამარჯვება მოიპოვა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმაც, რომელმაც პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების დავალება 126,4 პროცენტით შეასრულა.

პირველ დღეებში

მცხეთა. (სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში გულდასმით ეცნობიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავისათვის. კოლმეურნეები უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ახალი ძალით ჩაღდება შეჯიბრება სიმინდისა და ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ჩარდახის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. ასლანიშვილი), რომელმაც 65 ჰექტარი სიმინდის ფართობიდან მოსავალი აიღო 30 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 60 ცენტნერი სიმინდი ტაროთი. კოლმეურნეობას გეგმით უნდა დაემზადებინა 2.000 ტონა სილოსი, უკვე დამზადებულია 2.300 ტონა, კიდევ ჩადებენ 200 ტონას. წარმატებით შეასრულეს პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები და იბრძვიან პროდუქტიულობის გაღიდების წლიური გეგმის ვადამდე — 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

ჩარდახელმა კოლმეურნეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს საშემოდგომო თესვა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულონ

ქართული სტამბის 250-ე წლისთავისათვის

რუმინელი სტუმრები ზეიმზე

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვეითი თბილისში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. იგი მონაწილეობას მიიღებს საქართველოში პირველი სტამბის დაარსების 250-ე წლისთავის ზეიმში და საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების დამფუძნებელ კრებაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირთან რუმინეთის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების (არლუს) თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკადემიკოსი პეტრე კონსტანტინესკუ-იაში, რუმინეთ-რუსეთის მუზეუმის დირექტორი, არლუსის გენერალური საბჭოს წევრი მწერალი სკარლატ კალიმაკი და სსრ კავშირში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი ვალერიან სტანი.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა აკადემიკოს პეტრე კონსტანტინესკუ-იაშს, მწერალ სკარლატ კალიმაკს და ესაუბრა მათ.

აკადემიკოსმა **პეტრე კონსტანტინესკუ-იაშმა** განაცხადა: საქართველოში ამ ოთხი წლის წინათ ვიყავი. მაშინ დარი იდგა თბილისში და მართლა ცხრათვალა ზეო ერო, ახლა კი შემოდგომურად წვიმს. თუმცა ამის თქმა იმიტომ დამჭირდა, რომ ალბერნშნა: თბილისელები ყველავ ჩვეულებრივ თბილი ზეგეგზეგნენ... ჩვენთვის კი სწორედ ამ სითბოს აქვს მნიშვნელობა.

პირადად ჩემთვის დიდად „სასიხარულო მოვლენაა ქართული სტამბის დაარსების 250-ე წლისთავის ზეიმზე დასწრება. როგორც ისტორიკოსმა კარგად ვიცი ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც რუმინეთ-საქართველოს შორის არსებობდა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე საუკუნის წინათ. საერთოდ ცოტა ვიცით პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის ფაქტები. კულტურულ ურთიერთობას საფუძველი ეყრება უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან. თუმცა უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ალბათ უფრო ადრეც ყრსებობდა.

მე სპეციალური შრომები მაქვს დაწერილი ამ საკითხებზე. მაგალითისათვის აღვნიშნოთ თუნდაც ასეთი რამ. XVI-XVII საუკუნეების რუმინელ საეკლესიო და სამოქალაქო არქიტექტურაში შესამჩნევია XI-XII საუკუნეების ქართული არქიტექტურის გავლენა. ისე არაკინ წარმოიდგინოს, თითქოს აქ გავლენას კი არა, საერთო სარწმუნოებრივ გაგებას ჰქონდა ადგილი. არა, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ ზეგავლენასთან. თუმცა არც ერთი იმ ქართველი არქიტექტორის გვარი და სახელი არ ვიცით.

შარშან თქვენმა სასიქადულო პოეტმა გიორგი ლეონიძემ რუმინეთში ყოფნისას საჩუქრად გადმომცა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მეტად ძვირფასი ალბომი „ქართული ოქრომჭედლობა“. ამ ალბომმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა ჩემს მოსაზრებათა სისწორეში.

რაც შეეხება ჩვენს კულტურულ ურთიერთობას, რად ღირს თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ რუმინეთში დიდხანს მოღვაწეობდა ანთიმოზ ქართველი, რომელმაც ვახტანგის თხოვნით საქართველოში სტამბის მოსაწყობად გამოგზავნა რუმინელი მიხეილ სტეფანოვიჩი.

ნამდვილად კარგია, როცა ხალხს ახსოვს თავისი სახელოვანი წინაპრები, პატივს სცემს მათ და აფასებს. ქართული სტამბის დაარსების 250-ე წლისთავის ზეიმიც ამ კარგ და ძვირფას ტრადიციას მიეკუთვნება.

მწერალმა **სკარლატ კალიმაკმა** თქვა: საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ საქართველოს ისტორიას კარგად ვიცნობ და ის, რაც ტურისტს გააკვირვებდა, მე აღარ მაკვირვებს. გასაკვირველი კი თქვენში მართლაც რომ ბევრია.

ჩვენი მეგობრობის ხიდად საუკუნეებში აღმართულია დიდი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ანთიმოზ ქართველი. ჩვენთვის, რუმინელებისათვის, იმიტომაც არის სასიამოვნო ქართული სტამბის 250-ე წლისთავის ზეიმზე დასწრება, რომ ამ საქმეში რუმინელის მიხეილ სტეფანოვიჩის ხელიც ურევია.

რაც არ უნდა ბევრი ვილაპარაკოთ წარსულ კულტურულ ურთიერთობაზე, ის მაინც ზღვაში წვეთია იმ დიდ მეგობრულ ურთიერთობასთან შედარებით, რომელიც დღეს საქართველოსა და რუმინეთს აკავშირებს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საბჭოთა კავშირთან რუმინეთის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოება „არლუსს“ წევრია 6 მილიონი კაცი, მთელ რუმინეთში კი ცხოვრობს 18 მილიონი.

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტს“ მკითხველებს გადასცეთ ჩვენი გულითადი სალამი და სიყვარული.

აკადემიკოსი პეტრე კონსტანტინესკუ-იაში (მარჯვნივ) და მწერალი სკარლატ კალიმაკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თბილისი პოლონელ მეგობრებს მოელის

პოლონეთის კულტურის კვირეულის წინ

18 ოქტომბერს თვითმფრინავ „ტუ-104“-ით თბილისში ჩამოვლენ პოლონეთის კულტურის კვირეულის მონაწილენი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრი კაზიმეჟ რუსინეკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), პოლონეთის სცენების მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე ჰენრიხ შლეტინსკი, პოლონეთის პლასტიკოს მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე მეჩისლავ ვაეიმანი, პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ზბიგნევ ტურსკი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი ანასტას ზაიონჩკოვსკი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღიუნქტი, ფილოლოგი იან ბრაუნი და სხვ.

19 ოქტომბერს დილით პოლონელი სტუმრები ეწვევიან თბილისის შამპანურ კომბინატს, დაათვალიერებენ ჩაის გადამწონ ფაბრიკას, ეწვევიან საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დაესწრებიან ბავშვთა თვითმოქმედების კონცერტს.

ამავე დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კვირეულის საზეიმო გახსნა.

20 ოქტომბერს პოლონელი მოღვაწეები შეხვდებიან ქართველ კომპოზიტორებს, მწერლებს, მეცნიერებს, გაემგზავრებიან ქ. რუსთავში, სადაც დათვალიერებენ მეტალურგთა ქალაქს, ამირკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას, საღამოს რუსთავის მცხოვრებლებისათვის გამართავენ კონცერტს. ამავე დღეს დელეგაციის ზოგიერთი წევრი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში შეხვდება ქართველ სტუდენტებს.

საინტერესო ღონისძიებაა გათვალისწინებული 21 ოქტომბერს. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები და მსახიობები გაემგზავრებიან ქუთაისში, ჩავლენ კურორტ წყალტუბოში, საღამოს კი ქუთაისის დრამატულ თეატრში მოეწყობა კვირეულთან დაკავშირებული საზეიმო სხდომა, რის შემდეგ პოლონელი მსახიობები თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ქუთაისელ მაყურებლებს.

23 ოქტომბერს კვირეულის მონაწილენი ესტუმრებიან ბათუმს. აქ შეხვდებიან ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშებს, საღამოს ბათუმის თეატრში გამართავენ კონცერტს. მეორე დღეს პოლონელი სტუმრები დაათვალიერებენ ქალაქის ბოტანიკურ ბაღს, ეწვევიან ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას.

25 ოქტომბერს დილით პოლონელები თბილისში დაათვალიერებენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო საბჭოთა მეურნეობას. ამავე დღის საღამოს თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრში ექნებათ დასკვნითი კონცერტი.

26 ოქტომბერს პოლონეთის კულტურის წარმომადგენლები მიწვეულნი იქნებიან საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში.

27 ოქტომბერს პოლონეთის კულტურის კვირეულის მონაწილეები გაფრინდებიან სამშობლოში.

პოლონეთის კვირეულის დღეებში თბილისის კინოთეატრ „სპარტაკში“ გაიმართება პოლონური კინოფილმების ფესტივალი, რომლის დროს უჩვენებენ 10 კინოფილმს. მაყურებლები ნახავენ სამ ახალ ფილმს „არწივს“, „თავდასხმას“ და „ერთი ავიაგამანადგურებლის ისტორიას“. კინოფესტივალი მოეწყობა ეგრეთვე რუსთავში, ქუთაისში, მახარაძეში, ბათუმსა და სოხუმში.

ა. სურკოვის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მწერალ ა. ა. სურკოვის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ამბ. ალექსი ალექსანდრეს-ძე სურკოვი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

რაკეტა კოსმოსში



ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური განაგრძობს მოძრაობას მიცემული ორბიტით. გაიარა რა აპოგე (დედამიწიდან მაქსიმალური დაშორების წერტილი), საპლანეტათშორისო სადგური თანდათან უახლოვდება დედამიწას და 12 ოქტომბერს 20 საათზე მოსკოვის დროით 456 ათასი კილომეტრით იყო დაშორებული მას.

ორბიტის აპოგეს გავლის დროს ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურს ჰქონდა მინიმალური სიჩქარე, რომელიც უდრის დაახლოებით 0,4 კილომეტრს წამში. აპოგეს გავლის შემდეგ საპლანეტათშორისო სადგურის სიჩქარემ იწყო ზრდა, და 12 ოქტომბერს იგი შეადგენდა დაახლოებით 0,5 კილომეტრს წამში. შემდგომი მოძრაობის დროს, რაც უფრო მიუახლოვდება საპლანეტათშორისო სადგური დედამიწას, მისი მოძრაობის სიჩქარე განუწყვეტლივ გაიზრდება.

12 ოქტომბერს 20 საათზე მოსკოვის დროით ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური კვლავ იყო გველისმჭერის თანავარსკვლავედში, ჰქონდა რა ეკვატორული კოორდინატები: პირდაპირი აღვლენა — 16 საათი, 51 წუთი და 19 წამი, დახრილობა — 9 გრადუსი, 26 მინუტი და 24 სეკუნდი. ამ დროს საპლანეტათშორისო სადგური იყო დედამიწის ზედაპირის პუნქტზე კოორდინატებით — დასავლეთი გრძედის 22 გრადუსი და 42 მინუტი და ჩრდილოეთ განედის 9,4 გრადუსი.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან მიღებული მონაცემებით 12 ოქტომბერს კავშირის სეანსის დროს სადგურზე დადგმული აპარატურა ნორმალურად განაგრძობს მუშაობას. გაზომვათა მონაცემების გადმოცემის შემდეგი სეანსი მოეწყობა 15 ოქტომბერს 17-დან 18 საათამდე მოსკოვის დროით. (საკდესი).

პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება გვავალებს!..

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები მიაღწევენ ახალ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში



სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახებ

ღირსებისა და სახელის საქმე

1959 წლის 9 ოქტომბერი. ეს ღირსშესანიშნავი თარიღია საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ამ დღეს პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოსადმი, საქართველოს მშრომელებისადმი. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა, მეჩაიეთა, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, რომლებმაც უზრუნველყვეს ნაკისრი ვალდებულების შესრულება — **ქვეყანას მისცეს 140.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 133.000 ტონისა.**

მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილის პასუხად სახელოვანმა მეჩაიეებმა, რომლებიც თავდადებით შრომობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ენერგიულად დარაზმეს მთელი ძალები, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, დანერგეს მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება და დიდ წარმატებას მიაღწიეს.

საქართველოს მეჩაიეთა ეს დიდი გამარჯვება იმის მტკიცე საწინდარია, რომ ჩვენი საამაყო მეჩაიეები ასევე წარმატებით გაანაღდებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის მიცემულ პირობას, ყოველწლიურად გაადიდებენ ჩაის მოსავლიანობას და **1965 წლისათვის ქვეყანას მისცემენ 200.000 ტონა** ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

საქართველოს შრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩაის კრეფის გეგმის შესრულებასთან ერთად ვადამდე შესრულდა ჩვენს რესპუბლიკაში აბრეშუმის პარკისა და დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმები.

აი რა არის საამაყო, აი რას ნიშნავს შემოქმედებითი შრომის პათოსი! შესანიშნავი ნაბიჯებია გადადგმული ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. მაგრამ ეს მიღწევები თავისთავად როდია მოსული. ამ წარმატებათა შემოქმედნი არიან ჩვენი გმირი მეჩაიეები, ნოვატორები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები. წლიური გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში ბევრმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ გამოიჩინა თავი. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მახარაძის რაიონის მეჩაიეთა დიდი შემოქმედებითი შრომა. მთელ რესპუბლიკაში წარმოებული ჩაის ფოთლის მეხუთედს ისინი იძლევიან. მახარაძელებმა წელს გეგმით გათვალისწინებული 26.680 ტონის ნაცვლად უკვე მოკრიფეს 27.800 ტონაზე მეტი. მახარაძელებს გვერდს უმშვენებენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ზუგდიდის, ქობულეთის, გალის რაიონები, რომლებმაც ჩაის კრეფის წლიური გეგმები ვადამდე წარმატებით გაანაღდეს.

ასევე უნდა აღინიშნოს ტყიბულის, წყალტუბოს, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ხობის რაიონების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რაიონების მეჩაიეთა თავდადებული შრომა.

მოპოვებული წარმატებები უსათუოდ დიდია. შესანიშნავია. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ წარმატებებმა თავბრუ არ დაგვახვიოს, თვითმაყოფილებას არ მივეცეთ, ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. ამიტომ აუცილებელია აგროტექნიკური ვადებში შეგასრულოთ ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, ახალი პლანტაციების გაშენების დავალებანი და ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს სიამაყის გრძნობით აღავსებს მშობლიური პარტიისა და მთავრობის მისალმება, რომელშიც ნათქვამია:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს და ყველა მშრომელს ჩაის ფოთლის წარმოების გაზრდისა და სახელმწიფოსათვის ამ მეტად ღირებული მოკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 100 წლისთავი

1859 ჭეშმარიტი, მხურვალი, სიზოგადო მოღვაწე 1959

ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი

კოსტა ხეთაგუროვს ოსური ლიტერატურის, კულტურის განვითარებაში, ოსი ხალხის ისტორიაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის. ხეთაგუროვი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მხატვარი, თეატრალური მუშაკი და საზოგადო მოღვაწე. ვერავითარმა დევნამ და გადასახლებამ ვერ ჩაახშო მასში ხალხის კეთილდღეობისათვის ანთებული მებრძოლი სული.

1885 წელს კოსტა პეტერბურგიდან მშობლიურ ოსეთში დაბრუნდა. კოსტას უნდოდა შეხვედროდა თავის ხალხს, დახმარებოდა მას. და რა დაინახა თავისი მოძმე უნუგეშო ყოფაში ჩავარდნილი, სიხარული უზომო კაეშანმა შეუცვალა, რაც ლექსში „მოგვხედე" დიდი პოეტური სიძლიერით გამოხატა:

„მოვედი და ჩემზე უფრო საბრალო,
დავრდომილი, სნეული, სავალალო,
დამხვდი, ჩემო სამშობლოვ
საყვარელო.
სად დავსახლდეთ, სად გავაბათ
გუთანი,
მიწა არ გვაქვს ნამცეციც საკუთარი,
სხვას ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის მთა,
მდელო".

მშრომელი ოსი ხალხის მიწის საუკეთესო ნაწილი მთავრობამ ოს მემამულეებს დაურიგა. კოსტა მტკიცედ ჩადგა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანთა რიგებში. იგი ყოველთვის გრძნობდა თავის დაუშრეტელ მემოქმედებით ძალას, შეგნებული ჰქონდა მებრძოლი პოეტის დანიშნულება.

კოსტას ესმოდა თავისი ხალხის გმირნა. მისთვის მახლობელი და გასაგები იყო თავის მოძმეთა ფიქრი და სურვილები. ხეთაგუროვი ღრმა სიძულვილით და დაცინვით იხსენიებდა ალდარებს (თავადებს) და კულაკებს, მეფის სატრაპებსა და დამქაშებს. ის ექსპლოატატორებსა და „სოფლის ობობებს" დაუზოგავად ხდიდა ნიღაბს. „მთელი ჩემი სიცოცხლე კავკასიის ადმინისტრაციასთან ბრძოლას შევწირე", წერდა კოსტა.

ხეთაგუროვი ყოველთვის ხაზს უსვამდა მთიელთა გაუხარელ და სიმწრით სავსე ცხოვრებას. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბალადა „ობლების დედა". ქვრივ დედას, რომელსაც ქმარი თოვლის ჩამოზვავების დროს დაეღუპა, უმწეოდ დარჩენილი, დამშეული შვილები ვერაფრით დაუპურებია, გამოსავალი ვერსად უპოვნია და ტყუილით ამშვიდებს შვილებს:

„ნუ, ნუ სტირით, გენაცვალე, —
აიმედებს შვილებს დედა:
— ქვაბში ცერცვი იხარშება,
ღმერთმა ჩვენც არ გაგვიმეტა!..
შუა ღამეც გადავიდა
და ვახშამი მაინც არ ჩანს,
დედა თურმე ცერცვის ნაცვლად
ქვაბში რიყის კენჭებს ხარშავს"...

კოსტა ერთი მხრივ ხატავდა დაბეჩავებული, ბედკრული ხალხის ცხოვრებას, ხოლო მეორე მხრივ უპირისპირებდა ალდარებისა და მემამულეების მაძღარ და გალალებულ ცხოვრებას. მისი მიზანი იყო როგორმე აემხედრებინა ხალხი დამცირების, შეურაცხყოფისა და უთანასწორობის წინააღმდეგ.

მან შექმნა უამრავი ლექსი „სიმწარე", „უმწყემსოდ", „განგაში", „მოჯამაგირე", „ჯარისკაცი", „სალაშქრო სიმღერა", რომლებიც რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ.

კოსტა მარტო თავისი ხალხის, მშობლიური ოსეთისათვის არ იბრძოდა. ის ვიწრო ეროვნული გრძნობით არ ყოფილა შემოფარგლული. მას, როგორც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიმდევარს, შესანიშნავად ესმოდა, რომ ოსი მშრომელი ხალხის განთავისუფლება განუყოფელად იყო დაკავშირებული რუსი ხალხისა და სხვა ხალხების ბედიღბალთან და ამ აზრებს მკაფიოდ გამოხატავდა თავის ნაწარმოებებში.

ეს ღრმა, შთამაგონებელი აზრი და საერთოდ ადამიანის სიყვარული მან უფრო ნათლად და დიდი პოეტური სიმძაფრით გამოხატა ყველასათვის ცნობილ და აღიარებულ ლექსში „წინასწარმეტყველი არა ვარ". ამ ლექსში პოეტმა რევოლუციონერის მაღალი იდეალი გვიჩვენა და თავისი თავი ინტერნაციონალისტად წარმოგვიდგინა:

„ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი
სალოცავად
მაქვს და მსოფლიო — სამშობლოა,
სამშობლო ჩემი".

დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ ამ პოზიციებზეა დაფუძნებული. ამ პოზიციებზე იდგა იგი ხალხის თავისუფლებისა და ნათელი დღისათვის ბრძოლაშიც.

რევოლუციონერის მოვალეობის შესასრულებლად კოსტა მთავარ ამოცანად პოეტს აი რას უყენებდა:

„მე ბედნიერი არ ვყოფილვარ,
მაგრამ ჩემს პირად
თავისუფლებას, რასაც მე ვთვლი
ბედნიერებად,
ერთ ნაბიჯისთვის გავიმეტებ მე
გასაწირად,
მიუახლოვდეს ოღონდ ხალხი
თავისუფლებას".

წარსული საუკუნის 90-იან წლებში კოსტა ხეთაგუროვი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ცოცხალი სიმბოლო ხდება. მეფის მთავრობა სისტემატურად სდევნის პოეტს რევოლუციური მოღვაწეობისათვის. იგი ორჯერ იყო გადასახლებული, ჯერ ყუბანში, შემდეგ კი ხერსონში. იგი სწორედ იმ ხანად ქმნის ღრმა შინაარსითა და სიტყვაკაზმულობით ერთმანეთზე უკეთეს ლექსებს და ლეგენდებს: „კუბადი", „ვინა ხარ შენ?", „ღარიბის სიმღერა", „ლატკის გული", „იმედი", „ოჰ, ნეტავ", „ზამთარი", „საფლავზე", „სალამი", „მწუხარება", „იმღერე", „განგაში", რომლებიც დაწერილია ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეებით არის გაჟღენთილი.

ოსეთის ლიტერატურის დიდ საგანძურს წარმოადგენს რუსულ ენაზე დაწერილი პოემები „ფატიმა", „სასამართლოს წინაშე", „ვინ ცხოვრობს უდარდელად?" (კოსტა რუსულს თავის მეორე მშობლიურ ენას უწოდებდა).

პოემა „ფატიმას" და „სასამართლოს წინაშეს" ხეთაგუროვმა ადამიანთა დამცირება და უთანასწორობა დაუდო საფუძვლად, რაც სოციალური პირობებით იყო გამოწვეული. პოემა „ფატიმაში" ეს ტრაგიკული კონფლიქტი ძალიან საინტერესო ფორმაშია მოცემული.

აქვე უნდა ითქვას, რომ კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" კოსტა ხეთაგუროვის ამ პოემის მიხედვით შექმნა შესანიშნავი კინოსურათი, რომელმაც მთელი მსოფლიო შემოიარა.

სატირულ პოემაში „ვინ ცხოვრობს უდარდელად?" კოსტა ხეთაგუროვი გვიხატავს ჩრდილოეთ კავკასიის მეფის მოხელეთა მთელ გალერიას. ესენი არიან წამგლეჯები, მლიქვნელები, რომელთა სახეები პოეტმა ასახა მათი ბნელი საქმიანობის მიხედვით.

კოსტა უბრალო მეოცნებე არ ყოფილა. მას სჯეროდა ხალხის სიძლიერე და მისი ნათელი მომავალი: „უკუნეთი ღამეების შემდეგ ცისკარი აინთება და შუქმოფენილი დღე დადგება". მას მარტო ის კი არ სწამდა, რომ რევოლუციის ჟამი ოდესმე დაჭკრავდა, არამედ მის მოახლოებასაც გრძნობდა და ამბობდა: „ღამე ილევა" და შემდეგ კი სანუკვარი ოცნებაც ახდება:

„უკვე წუთები დათვლილია...
განგაშიც ისმის,
ხიშტის წვეტებზე გარიჟრაჟის შუქი
ციალებს"...

ზე ავწიოთ ჩვენი დროშა,
ჩვენი ხალხის დროშა,
შევკავშირდეთ, შევეტაკოთ
ბნელ უკუღმართ დროსა".

კოსტას ოცნება იყო ხალხების ერთ ოჯახად გაერთიანება.

პოეტის ეს სანუკვარი ოცნება მხოლოდ ჩვენს დროს განხორციელდა.

1939 წელს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კოსტა ხეთაგუროვის დაბადების მე-80 წლისთავი აღნიშნეს. მისი იუბილე ისეთივე ზეიმით აღინიშნა, როგორითაც შოთა რუსთაველის, პუშკინის, ტარას შევჩენკოს, დავით სასუნელის იუბილეები. 1955 წელს ქალაქ ორჯონიკიძეში (ჩრდილოეთ ოსეთში) საბჭოთა მთავრობამ აღმართა კოსტა ხეთაგუროვის მონუმენტი.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხისათვის დიდი ოსი პოეტის — ხეთაგუროვის შემოქმედებას, ეს ჯერ ვერ აღნიშნა გამოჩენილმა მწერალმა ა. ა. ფადეევმა:

„ხალხთა განვითარებაში შეიქმნება ხოლმე ფენები, ეპოქები, როცა ხალხში ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი სოციალისტური დროის ჭეშმარიტი წინამორბედნი არიან. უფრო მეტს ვიტყვი — კომუნიზმის წინამორბედნი, იმიტომ, რომ ისინი იმ ადამიანის საუკეთესო თვისებებით არიან აღჭურვილნი, როგორის შექმნასაც კომუნიზმის დროს ეფიქრობთ. მე ვლაპარაკობ ისეთ თავისებურ ადამიანზე, როგორიც კოსტაა და მის დიდ უნარზე შეეერთებინა თავის თავში ახალი ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისებები და მრავალმხრივი ნიჭიერება".

კოსტა ხეთაგუროვი დღესაც ჩვენი დიდი დროების ცოცხალი მონაწილეა. მისი სიცოცხლე აღაფრთოვანებს და მაგალითს აძლევს მრავალთ, თუ როგორ უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს მამულიშვილი ხალხსა და სამშობლოს.

ბ. ბაფეზი,
საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ᲙᲝᲡᲢᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ...

მთებში ხალიჩასავით გადაშლილ ალპურ მდელოს ალაგ-ალაგ თოვლის ფიფქი გადაეფარა. ზამთარი მოახლოვდა. აშურებს ოსავლის დაბინავებას მთის სოფელი ჩიგოიანი.

ჩიგოიანი ქსნის სათავეებთან, მაღალმთიანი ყელის ტბის ახლოს მდებარეობს. აქედან დიდ მანძილზე, როდის ოსური ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლის კოსტა ხეთაგუროვის სამშობლო აულ ნარამდე, ყელის ტბიდან ორიოდე მწვერვალს გადაუვლი, და კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე დაეშვები. პირველი კოსტას სოფელი ნარი შეგხვდება. ის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას ეკუთვნის.

ჩიგოიანელებმა მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას კოსტა ხეთაგუროვის სახელი მიაკუთვნეს. კოსტას სურათებს ნახავთ კოლმეურნეობის კანტორაშიც და წყებით სკოლაში, კოლმეურნეთა ოჯახებში. ამ დღეებში მთის სოფელი ზეიმობს დიდი პოეტის კ. ხეთაგუროვის დაბადების 100 წლისთავს.

ახალი მიღწევებით აღნიშნავს მთის სოფელი პოეტის დაბადების დღეს. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ბუნების უჩვეულო სიმკაცრისა, ჩიგოიანში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თავის აღებისა და პირუტყვის საგზომებთან მიზიდვის დავალება, შარშანდელთან შედარებით ბევრად გაადიდეს ხორცის წარმოება, წველადობა. ჩიგოიანელ მწველავებს ბაბიდო გურწიევას, მადლენა კოროევას, კატო გურწიევას სამხრეთ ოსეთში იცნობენ როგორც მოწინავე ადამიანებს. მათ პირველი ოქტომბრისათვის უკვე გაანადღეს წველადობის დავალება.

შრომობს მაღალმთიანი სოფელი, და ამ შრომაში იგრძნობა სამშობლოს მხურვალე სიყვარული, საქმისადმი ერთგულება. ჩიგოიანის კოლმეურნეობა ამაყად ატარებს კოსტა ხეთაგუროვის უკვდავ სახელს, იბრძვის იმისათვის, რომ ამრავლოს სოფლის დოვლათი, უფრო საამური და ბედნიერი გახადოს მთიელ კოლმეურნეთა ცხოვრება.

ი. თედიაშვილი.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

◆ დიდი ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" გამოსცემს მისი ლექსებისა და პოემების კრებულს.

◆ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა" გამოსცემს ვ. აბაევის მონოგრაფიას — „კ. ხეთაგუროვის ცხოვრება და შემოქმედება".

◆ საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში ეწყობა კ. ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

◆ დღეს, 14 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს კ. ხეთაგუროვის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავ საღამოს. შესავალი სიტყვით გამოვა ბ. ფღენტი, მოხსენებას წაიკითხავს ა. მირცხულავა.

◆ დიდი ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების მეასე წლისთავის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ქ. ორჯონიკიძესა და ქ. სტალინირში გაემგზავრებიან ქართველ მწერალთა დელეგაციები.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲐᲚᲘ

ᲙᲝᲡᲢᲐ ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲝᲕᲘ ჭეშმარიტად იყო ოსური ლიტერატურისა და ოსური სალიტერატურო ენის ფუძემდებელი. მისი „ირონ ფანდირი" (ოსური ქნარი) დღესაც სამაგიდო წიგნად ითვლება ყოველი ოსისათვის. „ირონ ფანდირზე" აღიზარდნენ და იზრდებიან ოს მწერალთა მთელი თაობები, თვით ფაქტი, რომ კოსტა თანაბარი სიძლიერით ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს როგორც ოსურ, ისე რუსულ ენებზე, მოწმობს მისი შემოქმედების ინტერნაციონალური ხასიათს.

კოსტას ბიოგრაფები გადმოგვცემენ, რომ დიდი ოსი მწერალი თავგამოდებით ებრძოდა სოციალურ უსამართლობას, რა ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოვლინებული. ყველა ჩაგრულს ბედი, ვინც უნდა ყოფილიყო ის — ოსი, რუსი, ქართველი, ჩერქეზი, უაბარდოელი თუ სხვა, — ერთნაირად აღელვებდა პოეტს და ასახვას პოულობდა ძის მრავალმხრივ შემოქმედებში.

გასაკვირველი როდია, რომ პოეტის სიმპათია პირველ რიგში გადატაკებული მთიელების და, კერძოდ, თავისი მშობლიური ხალხის მხარეზე იყო. კოსტას— დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილს — უყვარდა დიდი რუსი ხალხი და სწამდა მისი ბრწყინვალე მომავალი. იცოდა, რომ უკვე იმ დროს რუსეთის მუშათა კლასი და გლეხობა ხმას იმაღლებდა არსებული წყობილების წინააღმდეგ. მთებში კი ჯერაც არ შეეღწია რევოლუციური იდეების შუქს, და საწყალი გლეხკაცობა, გარდა იმისა, რომ ეკონომიურ და პოლიტიკურ სიკეთეს მოკლებული იყო, მორალურადაც ატანჯებოდა. ამიტომ მთიელ ოსთა გულის მესაიდუმლეს არ შეეძლო ყური არ მიეგდო ამ თავისებურებისათვის და პირველ რიგში ყველაზე ჩაგრულს არ გამოხმაურებოდა, აქ უმჯობესია სიტყვა მივცეთ კოსტას:

...მე ხალხი მიყვარს,
თქმა არ უნდა, მიყვარს ქვეყანა,
ჩაგრულ-უმწეო და ობლები
მე მიყვარს გულით,
მაგრამ უფრორე მშობლიური
— მე ვმალავ განა?
მიყვარს ღარიბი
ჩემი ხალხი, ჩვენი აული.

მაგრამ ეს არ იყო ნაციონალისტურ ნაბუქში ჩაკეტილი ადამიანის მოთქმა, ეს იყო მოწოდება ბრძოლისაკენ, ადამიანური უფლებების მოპოვებისაკენ.

კოსტას ინტერნაციონალიზმის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მცირე ზომის წერილი გაზეთ „კავკაზიდან", რომელიც მას 1901 წელს გამოუქვეყნებია ნარონის ხელმოწერით. ამ წერილს ჰქვია „უცხო მხარეში" და ეხება კიევის გუბერნიის უმანის მაზრის სოფელ მაიდანოვსკოედან გადმოსახლებულ ლტოლვილებს. აი რას წერდა კოსტა:

„სულ უფრო და უფრო ცუდად მისდიოდათ საქმე... პირუტყვი ეხოცებოდათ, — ზაფხულობით საძოვრები არ გააჩნდათ, ზამთრობით კიდევ საკვები... რა ექნათ? სად გადაკარგულიყვნენ? დიდხანს იმსჯელეს, დიდხანს იდავეს და ბოლოს გადწყვეტეს უცხო მხარეში ეძიათ ბედნიერება. მათი ნაწილი ორენბურგის გუბერნიაში წავიდა, მეორე ნაწილი — ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიაში და მესამე — „საბედისწერო" კავკასიაში.

რა მოუვიდა პირველ ორ პარტიას — ცნობილი არ არის, ხოლო მესამე პარტია, რომელიც ჩვენთან მოხვდა, საშინელ მდგომარეობაში იმყოფება".

ჰუმანისტი მწერალი გაზეთის საშუალებით თხოვნით მიმართავს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ „აუცილებელია უზრუნველყოთ ისინი (ე. ი. გადმოსახლებულები. — ა. ბ.) ახალ მოსავლამდე და დავეხმაროთ უფრო მაღლობ ადგილზე მოწყობაში, რათა ახალმა ავადმყოფობამ არ დარიოს ხელი".

კოსტას ღრმად სწამდა, რომ დიდია ხალხის ძალა. 1892 წელს დაწერილ სახალხო ლექსში იგი ამბობდა: ჩვენ ცალცალკე სუსტნი და მცირენი ვართ, ერთად კი მთებს შევძრავთო. ამ ლექსში დიდი ოსი პოეტი ძმობისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებდა ყველას.

ყველაზე ძვირფასი და წმიდა კოსტასათვის იყო ხალხის სამსახური. მას არასოდეს არ ამოძრავებდა ანგარებითი მიზანი. აი რას სწერდა იგი თავის გამომცემელ გაპო ბაიევს 1899 წლის 19 ივლისს: „მე არასოდეს ჩემი სიტყვით არ მიეკაჭრია, არასოდეს არც ერთ სტრიქონში არ მიმიღია ფული. იმისათვის კი არა ვწერ, რომ ვწერო და ვბეჭდო... არა! არც ასეთი მწერლობის დაფნა მჭირდება და არც მისი სარფა... მე ვწერ იმას, რის შეჩერებაც არ ძალძიძს ჩემს მტკივნეულ გულში..."

ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მოძღვარმა კოსტა ხეთაგუროვმა გულწრფელი ლექსები უძღვნა ლერმონტოვს, გრიბოედოვს, ჩაიკოვსკის, ა. ოსტროვსკისა და რუსი ხალხის სხვა გამოჩენილ შვილთა ხსოვნას. კოსტას ორი ლექსი აქვს დაწერილი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის მიხეილ ყიფიანის გარდაცვალების გამო. ამ ლექსებში მკაფიოდ გამოსჭვივის ქართველი ხალხისა და ოსი ხალხის სამარადისო მეგობრობა.

სწორედ ამიტომ არის, რომ კოსტას ლექსებს, მის დრამატულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს გატაცებით, სიყვარულით კითხულობენ არა მარტო ოსები, არამედ აგრეთვე რუსები, ქართველები და ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვა ხალხთა შვილები.

ა. მამისთვალოვი.

„დადგეს მშვიდობა განახლებულ
მთელ ქვეყანაში.
ზიზღით ლაგდონ დანა,
რომ სწვეთს სისხლი ღვარული,
ო, ნუ მაყვედრით,
ჩემმა ჩანგმა ადიდოს მაშინ
თავისუფლების ლაღი ყოფნა
და სიყვარული".

კ. ხეთაგუროვი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ნამწყემსარი ინალ ძანთიევი ახლა ცნობილი ოსი მოქანდაკეა. ძანთიევის ნაწარმოებები პოპულარულია ჩრდილოეთ ოსეთში. მან გამოძერწა „ოსეთის მშრომელები გლეკოვნენ დიდ ბელადის ვ. ი. ლენინის გარდაცვალებას", „კოლმეურნე ქალი", „ფაშიზმის მსხვერპლი", „ოსების ნარნარი ცეკვა", „სოციალისტური ოსეთი" და მრავალი სხვა მონუმენტური ნამუშევარი.

ინალ ძანთიევის ქანდაკებები გამორჩეულ სისადავითა და მრავალფეროვნებით, დინამიურობითა და უმაღლესი თემატიკა. მოქანდაკეს აქვს უნარი ღრმად ჩასწვდეს თანადროულობას, ცხოვრების სინამდვილეს. ამიტომ არის მომზიდველი მისი ყოველი ნაწარმოები.

კოსტა ხეთაგუროვის კეთილშობილ სახეს ინალ ძანთიევი ოთხჯერ დაუბრუნდა. მისი ხელით სულჩადგმული ძეგლები კოსტასი ბევრგან დადგმულია ჩრდილოეთ ოსეთსა და საქართველოში.

ამჟამად, როცა აღინიშნება კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 100 წლისთავი, მოქანდაკემ შექმნა საიუბილეო მედალი. მის წინაპირზეა ბარელიეფი შავ ფონზე, ოსური ეროვნული ორნამენტით მოჩუქურთმებული. მედლის შიგნითა წრეში არის წარწერა: „1859 — კოსტა ხეთაგუროვი — 1959". უკანა მხარეზეა ხეობა და აული ნარი, სადაც დაიბადა კოსტა ხეთაგუროვი.

ს. ᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

სურათებზე: საიუბილეო მედლის წინა და უკანა მხარე.

ᲛᲔᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). აქ მოეწყო კინოსტუდია „ლენფილმის" ახალი ნაწარმოების — კინოსურათ „ირისტონის შვილის" დათვალიერება. ფილმი ასახავს ოსი ხალხის სახელოვანი შვილის, ოსური ლიტერატურული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლის, მწერლისა და პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებასა და შემოქმედებას. გამოჩენილი მწერლის მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა მართებულად აისახა კინოსურათის კადრებში. მაყურებელი მოწონებით შეხვდა „ლენფილმის" ახალ კინოსურათს, რომელიც მიეძღვნა კოსტა ხეთაგუროვის დაბადების მე-100 წლისთავის იუბილეს. ამასთან ერთად დამსწრეებმა გამოთქვეს ზოგიერთი შენიშვნა და სურვილები.

ფილმის სცენარი ეკუთვნით ოს მწერლებს რ. ფატაევს და მ. ცაგარაევს, დადგა რეჟისორმა ვ. ჩებოტარიოვმა, მუსიკა ეკუთვნის ოს კომპოზიტორს ი. გაბარაევს. ფილმში სტუდია „ლენფილმის" მსახიობებს გარდა მონაწილეობენ ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ და საქართველოს სსრ მსახიობები. როლებს ასრულებენ: კოსტა — რსფსრ სახალხო არტისტი თხაფსაევი, ცარია — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. თუაევი, გუდალის შვილი — საქართველოს სსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. თაუგაზოვი, ანა ცალიკოვა, კოსტას სატრფო — ლია ელიავა, ობლების დედა — ც. ჯატიევა.

ახალი კინოფილმი ეკრანზე გამოვა კ. ხეთაგუროვის საიუბილეო დღეებში.

რევაზ ასაევი

ᲜᲔᲒᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ

ᲙᲝᲡᲢᲐ ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲝᲕᲘᲡ

აქ ლურჯი ზეცის ფურცელზე მთვარემ
დაასვა თავის ვერცხლის ბეჭედი.
თავზე ნისლებმა გადამიარეს, —
გაოცებული აქვე შევჩერდი.

ბევრი რამ ვიგრძენ ნევასთან მოსვლით,
მე ნევას ერთი ამბავი ვკითხე:
— ნაპირზე მდგარი ნარელი ოსი
რა საიდუმლოს უმხელდა ზვირთებს?

მდინარე ნევა მიღელავს ნელა —
მდინარე მშვიდი, მდინარე დიდი.
ზედ კი ლამაზი, ვით ცისარტყელა,
გადაშოლტილა კროვის ხიდი.

ნარელო კაცო, აქ იდექ შენაც,
მაგრამ ვერ ნახე, ვინაც დიდებით
ჩვენი სამშობლოს ცა ასახელა
და ხიდქვეშ გაძვრა ფოლადის ფრთებით.

ეერ ნახე, როცა „ავრორამ" რისხვით
ზამთრის სასახლე შეაბარბაცა,
როცა ლენინს ქალაქზე ნისლი
ხალხმა გარეცა და მტერი დასცა.

ნევის პროსპექტი, როგორც ძმის ხელი,
გაწვდილი არის მოსკოვისაკენ.
მე პოეტს გეძებ, მე მაინც გელი,
ვოცნებობ, დავალ იქით და აქეთ.

ახსოვთ პოეტი, ალბათ, ამ ფიქვებს
და გაზაფხული ლურჯად მოსული,
მარადისობის ქროლაში იქერს
ხმას, რომ აუდერებს ლირა ოსური.

თარგმანი **ᲗᲠᲘᲓᲝᲜ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘᲚᲘᲡᲐ.**

შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ დიდი ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი შესანიშნავი მხატვარიც იყო. ის წერდა უანრულ სურათებს. დიდი თანაგრძნობით ასახავდა მშრომელი ოსი ხალხის ცხოვრებას, უმღეროდა სამშობლო ქვეყნის ბუნებას.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ კოსტა ხეთაგუროვის ერთ-ერთ ფერწერულ ტილოს, რომელსაც „მწუხარე ანგელოზი" ეწოდება. ის ანგელოზი კი არა, მწუხარე ფატიმაა, მის თვალებში ასახულია მრავალთა სევდა და ნაღველი, რაც ეგზომ უყვარდა გულს შესანიშნავ პოეტს, მხატვარს, მოქალაქესა და ბეღლისგან დაჩაგრულთა დიდ მოსარჩლეს კოსტა ხეთაგუროვს.

მეგობრული შეხვედრები

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

მაგდებურგი, 12 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები ა. ტუპაევი და კ. სავინი იუწყებიან: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ცენტრში — ქალაქ მაგდებურგში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დღევანდელმა დღემ ერთხელ კიდევ ცხადყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მზარდი მეგობრობა და ძმობა. დილიდან საბჭოთა დელეგაციის რეზიდენციასთან, სადაც ცხოვრობს საბჭოთა დელეგაცია, შეიკრიბა ასობით ადამიანი. ისინი გულთბილად მიესალმებოდნენ ფ. რ. კოზლოვსა და დელეგაციის სხვა წევრებს.

დელეგაციის წევრები გაიყვნენ ორ ჯგუფად და წავიდნენ მაგდებურგის სამრეწველო საწარმოებში. გზაში მათ გულთბილად ხვდებოდა ათასობით ადამიანი.

ფ. რ. კოზლოვი, ვ. ა. ზორინი, ზ. დ. ეფრემოვი, აგრეთვე ჰ. რაუ და ა. პისნიკი მივიდნენ ე. ტელმანის სახელობის მძიმე მანქანათსაშენებელი ქარხნის სადღესასწაულო მორთულ ტერიტორიაზე. ეს არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი მრეწველობის უდიდესი საწარმო, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს „ქარხნების ქარხანა“. იგი უშვებს მოწყობილობას ცემენტის საწარმოებისათვის, მძიმე ამწეებს მეტალურგიული მრეწველობისათვის და სხვა ნაკეთობებს.

საბჭოთა სტუმრებს ქარხნის სამმართველოს შენობასთან შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიკომის მდივანი პ. ბრანდტი, საწარმოს დირექტორი ო. ფრიკე, ქარხნის პარტკომის მდივანი ფ. ბრაუნე, საწარმოს მუშები.

ფ. რ. კოზლოვმა მიიღო მებრძოლი რაზმების საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ქარხნის ხელმძღვანელებსა და მუშებს გულთბილი მიღებისათვის.

შემდეგ გაიმართა საუბარი, რომლის მსვლელობაში ო. ფრიკემ გააცნო სტუმრებს საწარმოს ისტორია. მან ფ. რ. კოზლოვს მიართვა სამახსოვრო საჩუქარი.

დაიწყო ქარხნის დათვალიერება. საბჭოთა სტუმრები შეეიდნენ სამჭედლო-საწნეხე საამქროში. ფ. რ. კოზლოვმა და დელეგაციის სხვა წევრებმა მოიარეს საამქრო, შეჩერდნენ წნეხებთან, ესაუბრნენ მუშებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური ესაუბრა ქარხნის სოციალისტური შრომის პირველი ბრიგადის წევრებს, რომელმაც ეს საპატიო წოდება მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-10 წლისთავის წინ.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები და მასპინძლები შეეიდნენ მექანიკურ საამქროში. აქაც გაიმართა მეგობრული შეხვედრები მოშუბთან და ინჟინრებთან.

საწარმოს დათვალიერების შემდეგ ქარხნის დიდ ეზოში გაიმართა მიტინგი. საწარმოს მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები მხურვალედ მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ფ. რ. კოზლოვს, რომელმაც სიტყვით მიმართა მათ.

პასუხად გაისმა ათასხმოვანი „ფროინდშაფტ“ („მეგობრობა“).

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰ. რაუმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა უაღრესად გულითადად და გულთბილად მიესალმება თავის სტუმრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდნენ.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა მეორე ჯგუფი პ. პ. ლობანოვის, ს. ნ. ლობანოვის, ნ. ს. ბავლოვის შემადგენლობით იყო კარლ მარქსის სახელობის საზომ ხელსაწყოთა და ელექტროარმატურის ქარხანაში. დიდი საწარმოო წარმატებებისათვის მისი კოლექტივი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-10 წლისთავის წინ დაჯილდოვდეს „შრომის დროშის“ ორდენით. აქ სოციალისტური შრომის ბრიგადების წოდებისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 2.500 კაცი.

ქარხნის ტერიტორიაზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ქარხნის დირექტორი ე. გალერახი, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ზაიფერტი და საწარმოს სხვა ხელმძღვანელები. ა. ზაიფერტი გულთბილად მიესალმა დელეგაციის წევრებს. მოკლე სიტყვაში ზაიფერტი გულთბილად მიესალმა ... ნის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა კ. მარონმა და სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა.

მიტინგი დამთავრებულია. ქარხნის ტერიტორიაზე გაისმა „ინტერნაციონალი“.

მაგდებურგი, 13 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ტუპაევი იუწყება: გუშინ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ფ. რ. კოზლოვმა და დელეგაციის წევრებმა შემდეგი ჩაწერეს ქალაქ მაგდებურგის ოქროს წიგნში:

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნა გადაიქცა ჩვენი ხალხების მტკიცე და ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

ვუსურვებთ მაგდებურგის მცხოვრებლებს წარმატებებს ახალი . ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში.

მშვიდობისა და მეგობრობისათვის!

უფრო გვიან დელეგაციამ იმოგზაურა ქალაქ მაგდებურგში, იყო რაიონებში, სადაც შენდება საცხოვრებელი სახლები მოსახლეობისათვის. სამი საათის განმავლობაში საბჭოთა სტუმრები ეცნობოდნენ მაგდებურგის სამედიცინო აკადემიას, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მედიცინის დარგის მეცნიერული და სასწავლო მუშაობის ერთ-ერთი დიდი ცენტრია.

საღამოს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა, რომელიც მოაწყეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტმა და მაგდებურგის ოლქის საბჭომ.

ცეილონელი მუსიკოსი თბილისში

უსმენთ ახალგაზრდა ცეილონელს, ჩელოზე დამკვრელს როგან დე სეირამს და არ გჯერათ, რომ ამ ნიჭიერი შემსრულებლის არტისტული სახე სულ რაღაც ცხრა-ათი წლის განმავლობაში დაძაბული და ნაყოფიერი შრომით ჩამოყალიბდა.

ცეილონის მკვიდრთ თავისთავადი, ეროვნული ხალხური მუსიკის საუკუნოვანი ტრადიციები აქვთ, ევროპულ პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას იქ თითქმის არ იცნობენ. მათი ხალხური მუსიკალური შემოქმედება არ იცნობს არც ქამანიან საკრავებს (გავრცელებულია მხოლოდ დასარტყმელი საკრავები და ერთხმიანი სიმღერა).

სეირამის დიდი ბუნებრივი მიხვრა-ფების განხორციელება მხოლოდ თერთმეტი წლის ასაკიდან დაიწყო, როდესაც იგი ევროპაში გაემგზავრა და იტალიასა და საფრანგეთში ხაუკეთესო პედაგოგებთან დაიწყო მეცადინეობა. ახალგაზრდა მუსიკოსს კონსერვატორიაში არ უსწავლია, მეცადინეობდა კერძოდ და ისიც არასისტემატურად. მისი პედაგოგები იყვნენ პ. კაზალსი, გ. კასადო და ნავარა.

ახალგაზრდა ცეილონელი მსახიობი წარმატებით გამოდიოდა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში: ინგლისში, იტალიაში, პორტუგალიაში, ბელგიაში და სხვ.

საბჭოთა კავშირში მისი პირველი საგასტროლო კონცერტები ერევანსა და ბაქოში მოეწყო, ხოლო 10 და 11 ოქტომბერს იგი თბილისის მუსიკალური საზოგადოების წინაშე რთული და მეტად საინტერესო პროგრამით წარდგა.

როგან დე სეირამის დაკვრა ღრმა მუსიკალობით და შინაგანი კეთილშობილებით, განსაკუთრებული სისადავითა და განცდის დიდი გულწრფელობით ხასიათდება. შეიძლება ყოველთვის ვერ დავეთანხმოთ მსახიობის მიერ ამა თუ იმ ნაწარმოების ემოციური შთანაფიქრის გახსნას, მაგრამ მისი შესრულება აუცილებლად იპყრობს ყურადღებას განცდის სიფაქიზითა და მელოდიანობით.

არტისტის შემოქმედებითი ბუნებისათვის ლირიკულ განცდათა სამყაროა ყველაზე მახლობელი. მუსიკალური ფრაზის განსაკუთრებული რელიეფურობით გადმოცემისადმი თავის მიდრეკილებაში მსახიობი მელოდიური მღერადობის პრინციპს ემყარება. იგი თითქმის ვოკალური მღერადობისადმი ისწრაფვის (ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ფერადოვანი, ხავერდოვანი ბგერა).

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი აღმოჩნდა როგან დე სეირამის მიერ შესრულებულ დიდი ფორმის ნაწარმოებთა — რ. შუმანის კონცერტის, რ. შტრაუსის სონატის (ფა-მაჟორი) და სხვ. ნელი ნაწილები (განსაკუთრებით კი რ. შუმანის კონცერტების მეორე ნაწილი — პოეტური რომანსი).

დიდი ინტერესი გამოიწვია როგან დე სეირამის მიერ გამოჩენილი უნგრელი კომპოზიტორის ზ. კოდაის სონატის ვირტუოზული ფინალის შესრულებამ.

ჰარმონიული კოლორიტის ფაქიზი გრძნობა აღიბეჭდა მის მიერ კ. დებიუსის სონატის შესრულებისას, კარგი შთაბეჭდილება დატოვა რ. შუმანის ხალხური სტილით დაწერილმა ხუთმა პიესამ. ახალგაზრდა შემსრულებლის წარმატებას ხელი შეუწყო პიანისტმა ნ. ბატაშევამ, რომელმაც დაკვირვებულ ანსამბლისტად გვიჩვენა თავი.

ორკესტრისა და სოლისტის მტკიცე ანსამბლურობა იქნა მიღწეული დირიჟორ ზ. ხუროძის მიერ რ. შუმანის კონცერტის შესრულებისას.

ნიჭიერი ცეილონელი ჩელოზე დამკვრელის კონცერტები თბილისში სიმფონიური და კამერული კონცერტების ახალი სეზონის დაწყებას დაემთხვა.

მზია იაშვილი.

• • •

სურათზე: როგან დე სეირამი.

ყოველი მხრიდან

„ცივი ომის“ მომხრეთა ხრიკების წინააღმდეგ

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. ვ. კუზნეცოვის გამოსვლა

„ტიბეტის საკითხის“ ინიციატორებმა და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა წამოიწყეს ბოროტი ცილისმწამებლური კამპანია დიდი ჩინელი ხალხისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ იმისათვის, რომ ჩაშალონ ან უკიდურეს შემთხვევაში, შეაფერხონ სახელმწიფოთა ურთიერთობაში გამოდარების პროცესი, რაც ამ უკანასკნელ ხანს დაიწყო. „ცივი ომის“ პოლიტიკის მიმდევარნი, რომელთაც გაერთიანებული ერების ტრიბუნაზე გამოიტანეს „ტიბეტის საკითხი“, ცდილობენ მოწამლონ ატმოსფერო, ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ქვეყნების დაახლოებას. ამასთან მათ სურთ ზიანი მიაყენონ ნაყოფიერ თანამშრომლობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და აზიის ქვეყნებს შორის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობას, მათს ბრძოლას ერთვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის ზონის გაფართოებისათვის ამ რაიონში.

აგრესიული წრეები, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, ყოველგვარ პროვოკაციას მიმართავენ ოღონდ მეზობლებს წაკიდონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და გართულება შექმნან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და აზიის ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობაში. ამასთანავე მათ იმედი აქვთ, რომ ჩაითრევენ აზიის ხალხებს „ცივ ომში“, მიაბამენ მათ სეატოს, სენტოსა და სხვა აგრესიულ ბლოკებს. „ტიბეტის საკითხი“, რომელიც ამჟამად ხელოვნურად შეთითხნეს, ხაზი გაუსვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, აღნიშნული წრეების მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელიც მიმართულია ბანდუნგის იდეათა წინააღმდეგ, ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის წინააღმდეგ.

„ტიბეტის საკითხის“ დასმამ, მისი ინიციატორების ვარაუდით, ხელი უნდა შეუშალოს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-14 სესიის პროდუქტიულ მუშაობას. ჩამოშოროს მისი ყურადღება დღის წესრიგში დგომ ნამდვილად დიდმნიშვნელოვან საკითხებს, და უწინარეს ყოვლისა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხს.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, სურს გაამართლოს ხალხების იმედები, განმტკიცდეს და განგითარდეს, იაროს წინ და არა უკან განსვენებული ერთა ლიგის უსახელო გზით, იგი უნდა გახდეს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ნამდვილად შეუწყობს ხელს მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, სახელმწიფოთა შორის თანხმობისა და თანამშრომლობის განვითარებას, თავიდან უნდა ჩამოშოროს ყოველივე ის, რაც აფერხებს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

• • •

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დღეს 43 ხმით 11 ხმის წინააღმდეგ (25 კაცმა თავი შეიკავა) მოიწონა გენერალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეის მე-14 სესიის დღის წესრიგში შეიტანონ პროვოკაციული „საკითხი ტიბეტის შესახებ“, რომლის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დააყენოს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამწვავების გზაზე, „ცივი ომის“ გაკოტრებული პოლიტიკის გზაზე.

საერთაშორისო კინოფესტივალი

ლონდონი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ლონდონის ეროვნულ კინოთეატრში გაიხსნა მესამე ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 16 ქვეყანა.

საბჭოთა კინოხელოვნება ფესტივალზე წარმოდგენილია მხატვრული კინოფილმებით „ძვირად დაუჯდათ“ და „სხვისი შვილები“, მუულტიპლიკაციური ფილმით „თოვლის დედოფალი“, მოკლემეტრაჟიანი ფილმით „მეგობარი“ და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-დოკუმენტალური ფილმით „ჯუნგლის ბილიკით“.

ფესტივალი 1 ნოემბრამდე გასტანს.

არჩეულია ექვსი ახალი წევრი

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე გაიმართა ეკონომიური და სოციალური საბჭოს ექვსი ახალი წევრის არჩევნები, იმათ ნაცვლად, რომელთა რწმუნების ვადა გადის 1959 წლის დამლევს.

კენჭისყრის პირველ ტურში საბჭოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანოს წევრებად არჩეული არიან: საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ბრაზილია, ინგლისი და დანია. საბჭოს მეექვსე ახალი წევრი იქნება იაპონია, რომლის სასარგებლოდ ინდოეთმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

სპორტის ამბები

სრულიად საკავშირო შეჯიბრება სამგოში

ტალინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა სრულიად საკავშირო შეჯიბრება „დინამოს“ საზოგადოების პირად-გუნდურ პირველობაზე ჭიდაობა სამგოში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა ჩვენი ქვეყნის 24 გუნდი და 200-ზე მეტი უძლიერესი სამგოსტი.

პირველი ჯგუფის გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვეს ლენინგრადელმა სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე არიან საქართველოს მოკიდავეები. მოსკოვის გუნდი, რომელმაც შარშან პირველი ადგილი დაიკავა, ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილზე გამოვიდა.

შეხვედრები კალათბურთში

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დღეს გაიმართა 2 მატჩი.

დიდი ინტერესი გამოიწვია საპრიზო ადგილების პრეტენდენტების ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრამ, რომლებიც ამ მატჩამდე დაუმარცხებლად გამოდიოდნენ. ბრძოლა შეუპოვარი და მიმზიდველი იყო და დამთავრდა ბულგარელ კალათბურთელთა გამარჯვებით 54 : 47.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ წინ არიან სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდები, რომლებიც ჩემპიონატში დაუმარცხებლად გამოდიან.

ტალისა და კერესის ახალი გამარჯვება

ზაგრები, 13 ოქტომბერი. (ტელეფონით). დღეს იუგოსლავიის სახალხო არმიის სახლის საკონცერტო დარბაზში შედგა XXI ტური.

ყველა პარტიაში ბრძოლა მეტად დაძაბული იყო. მრავალრიცხოვანი მაყურებლის მთავარ ინტერესს იწვევდა ტალისა და კერესის პარტიები. სიცილიურ დაცვაში ტალმა შავებით გონებამახვილურად შექმნა კონტრთამაში ლაზიერის ფრთაზე და რთული დაცვითი პრობლემების წინაშე დააყენა ბენკო. უცხოელმა გროსმაისტერმა ბევრი დრო მოანდომა პოზიციაში გარკვევას და მალე მწვავედ განიცადა მოსაფიქრებელი დროის ნაკლებობა, რაც სხვათაშორის ხშირად ემართება მას ამ ტურნირში. ცაიტნოტში ბენკოს მხედველობიდან გამორჩა ლაზიერის დაკარგვა და 33-ე სვლაზე მან ტალს მეცამეტე გამარჯვება მიუოლოცა.

მომხიბლავ პოზიციურ სტილში მიჰყავდა პარტია კერესს ოლაფსონის წინააღმდეგ. ყოველ სვლით საბჭოთა გროსმაისტერის პოზიცია მრისხანე ხდებოდა. გადამწყვეტი გარღვევით კერესმა საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა. 36-ე სვლაზე ოლაფსონმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ორი პარტია არ დამთავრებულა. სმისლოვს მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს ფიშერთან შეწყვეტილ პარტიაში. დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაშია გადადებული გლიგორიჩ-პეტროსიანის შეხვედრა.

ხვალ, 14 ოქტომბერს მოხდება ამ პარტიების დამთავრება, რითაც დასრულდება პრეტენდენტთა ტურნირის ზაგრების პერიოდი — მესამე წრე.

აღსანიშნავია, რომ მ. ტალმა მესამე წრეში დაუმარცხებლად 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ამრიგად, XXI ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ტალი (15,5 ქულა) და ჰ. კერესი (14 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან: ტ. პეტროსიანი (11 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ვ. სმისლოვი (10,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ს. გლიგორიჩი (10 ქულა და ერთი გადადებული პარტია), რ. ფიშერი (8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ბ. ბენკო (6,5 ქულა) და ფ. ოლაფსონი (6 ქულა).

რედაქტორი
დ. მეფდლიშვილი.

პრეზიდენტთა ერთობლივი განცხადება

ვაშინგტონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). თეორმა სახლმა გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ეიზენჰაუერისა და მექსიკის პრეზიდენტის ლოპეს მატეოსის ერთობლივი განცხადება.

როგორც აღნიშნულია ერთობლივ განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და მექსიკის პრეზიდენტმა გულთადობისა და გულახდილობის ატმოსფეროში გაუზიარეს ერთმანეთს აზრები მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ურთიერთსაინტერესო საერთო საკითხებზე, აგრეთვე ამერიკის ნახევარსფეროს საკითხებსა და მსოფლიო საკითხებზე. მათ განიხილეს აგრეთვე ორივე ქვეყნას შორის საქონელგაცვლის საკითხები, ზღვების ეკონომიური რესურსების კვლევისა და შენარჩუნების პრობლემები, ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა, კერძოდ, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა მექსიკაში, აგრეთვე მდინარე რიო-გრანდეს წყლების რეგულირებისა და გამოყენების პრობლემა.

ორივე პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ საჭიროა მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოთა მეთაურებმა მომავალშიც იქონონონ პირადი კონტაქტი.

გულითადობის ატმოსფეროში

ვენა, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „კურიერში“ გამოქვეყნებულია გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის სტროგალის სტატია ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტის დოქტორ ადოლფ შერფის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ. სტატიის სათაურია „გულითადობის ატმოსფერო დოქტორ შერფის გარშემო“.

ავტორი წერს უჩვეულო გულითადობაზე, რომლითაც მიიღეს მოსკოვში ავსტრიის სახელმწიფოს მეთაური. ასევე განმეორდა ლენინგრადში, აღნიშნავს სტროგალი, სადაც ფედერალურმა პრეზიდენტმა შერფმა ორი დღე დაჰყო. ამ ქალაქშიც ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდნენ დოქტორი შერფი და მისი თანმხლები პირები, იკრიბებოდა ხალხი და მეგობრულად მიესალმებოდა პრეზიდენტს.

„მეგობრობა და მშვიდობა“ — აი სიტყვები, რომელთაც დაუსრულებლივ იმეორებენ საბჭოთა კავშირში ა. შერფთან შეხვედრისას საბჭოთა ადამიანები, წერს კორესპონდენტი.

ადოლფ შერფი მოსკოვს დაბრუნდა

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი დოქტორი ადოლფ შერფი, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით და მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე ავსტრიის ელჩი სსრ კავშირში ნ. ბიშოფი 13 ოქტომბერს დღისით „ილ-18“ თვითმფრინავით მოსკოვს დაბრუნდნენ. საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. სტუმრები იყვნენ ლენინგრადში, ზაპოროჟიეში, ყირიმსა და სოჭში. (საკდესი).

ფინეთის ფინანსთა მინისტრი ვ. სარიალა თბილისში

13 ოქტომბერს ლენინგრადიდან თბილისს ჩამოვიდა ფინეთის ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვილიამ სარიალა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოწვევით.

მოგზაურობაში მას ახლავს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. ჰ. კოსიაჩენკო. თბილისის აეროპორტში სტუმრს შეხვდნენ საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ს. ტრაპაიძე, მინისტრის მოადგილეები ი. რ. კალატოზიშვილი, დ. ნ. მაზარაშვილი და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ჩამოსვლის დღეს ბ-ნი ვილიამ სარიალა ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. (საქდესი).

ადენაუერის პარტიის დიდი დამარცხება

ბონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გამანადგურებელი დამარცხება განიცადა ადენაუერის პარტიამ — ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა ბრემენის დეპუტატთა საკანონმდებლო კრების არჩევნებში. არჩევნებს ბრემენში, რომელიც ფედერალური მხარის უფლებებით სარგებლობს, ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

არჩევნების შედეგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 80 პროცენტმა, სავალალო აღმოჩნდა ადენაუერის პარტიისათვის. თუ ბუნდესტაგის 1957 წლის არჩევნებში ქრისტიან დემოკრატთა კავშირს ბრემენში ხმა მისცა 30,4 პროცენტმა, ამჯერად ადენაუერის პარტიამ მიიღო ხმების მხოლოდ 14,8 პროცენტი.

არჩევნებში გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც მიიღო ხმების 54,9 პროცენტი (ბუნდესტაგის 1957 წლის არჩევნებში — 47,1 პროცენტი). ბრემენის დეპუტატთა ახალ საქალაქო კრებაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 61 მანდატი ასიდან, ხოლო ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა სულ 16 მანდატი. როგორც აღნიშნავენ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმატება უწინარეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ იგი გამოდიოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ატომურ-რაკეტული შეიარაღების წინააღმდეგ.

მამაც მაშველთა გმირობა

სოხუმი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). სოხუმის ყურეში მიმდინარეობდა საზღვაო მაშველთა მრავალჯიდში სრულიად საქართველოს შეჯიბრების უკანასკნელი დღე. ძლიერთა და მამაცთა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ფოთის, ბათუმისა და გაგრის გუნდები.

დილიდანვე ზღვა ღელავდა, ღელვა 4 ბალს აღწევდა, მაგრამ მამაცი მაშველი სპორტსმენები ძლევდნენ სიძნელეებს და შეუპოვრად იბრძოდნენ პირველობისათვის.

უეცრად არმის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სოხუმის მაშველი სადგურის მხრიდან ყურეზე ავარდა წითელი რაკეტა — განგაშის სიგნალი. მობანავეთა ჯგუფს, რომელმაც შორს გასცურა ზღვაში, თავს დაატყდა უბედურება. ადამიანთა სიცოცხლე საფრთხეში იყო. მორიგე მაშველმა რამდენიმე კაცი სწრაფად აიყვანა კანჭოში, მაგრამ მოსკოველი ს. ნოვოჟილოვი, რომელიც ტალღამ გაანძრია და გრძნობა დაკარგა, იძირებოდა.

მაშველად გაეშურნენ მაშველთა მრავალჯიდში შეჯიბრების მონაწილეები. პირველი გადაეშვა წყალში არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ბათუმის მაშველი სადგურის რაზმელი ა. ანტონიანი. იგი ებრძოდა ზვირთებს და სწრაფად უახლოვდებოდა ჩაძირულს. ამ დროს კატარღაც მოვიდა, რომელსაც სოხუმის მაშველი სადგურის ბოცმანი გ. ზუევი ხელმძღვანელობდა. ნოვოჟილოვი უგრძნობლად ამოიყვანეს ნაპირზე. აქ მას აღმოუჩინეს პირველი სამედიცინო დახმარება.

ახლა ნოვოჟილოვი წევს სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოში. თავს კარგად გრძნობს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თელავის მევენახეობისა და მეფუტკრეობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ერთწლიანი სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1959-60 სასწავლო წლისათვის

სკოლა ამზადებს მევენახეობისა და მეფუტკრეობის ტექნიკოსებს. სკოლაში მიიღებიან საწარმოო ბრიგადის ბრიგადირები და რგოლის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კოლმეურნეობაში მუშაობის საწარმოო გამოცდილება და განათლება არანაკლებ 4 კლასისა, კოლმეურნეები, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ 7 კლასისა, აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სკოლაში მიღება წარმოებს უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია. სწავლა უფასოა.

სკოლაში მივლინებულმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, პასპორტი ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომის ოქმის ამონაწერი სკოლაში მივლინების შესახებ, ცნობა კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟის და თანამდებობის შესახებ, ორი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ.

სკოლაში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით, უზრუნველყოფილი ბენებიან ბინით, გათბობა-განათებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რჩევით კოლმეურნეობებმა უნდა დაურიცხონ სკოლაში მივლინებულთ თვეში 20-25 შრომადღე და ყოველთვიურად მისცენ 100 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში.

სკოლაში ჩარიცხვა წარმოებს 25 ოქტომბრამდე. სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

სკოლის მისამართი: თელავის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა (სოფ. კისისხევი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ საშტატო თანამდებობებზე: **ტოქსოპლაზმოზის ლაბორატორიის ხელმძღვანელს**—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი,

დიზენტერიის განყოფილებ ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელს— მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ერთი თვის ვადაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება და შემდეგი საბუთები (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხის დიპლომების ასლები, დახასიათება უკანასკნელი სამსახურიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია, ორი ფოტოსურათი.

მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 139.

ხელმოწერას სახელმწიფო გიბლიოგრაფიის ორგანოებზე

— „წიგნის მატიანე“ (გამოდის თვეში ერთხელ), „ფურნალის სტატიების მატიანე“ (გამოდის თვეში ერთხელ), „ბეჭდური საკანონმდებლო ბარათები“ (თვეში ერთი კომპლექტი), „გაზეთის სტატიების მატიანე“ (გამოდის თვეში სამჯერ) იღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა. მსურველებს ანგარიშის მისაღებად შეკვეთა შეუძლიათ გამოგზავნონ მისამართით: თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5, წიგნის პალატა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ... ეცნ